პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2026 წელი ქ.თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტი - სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ექსტრაქციული გამხსნელების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის’ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი ნაწილის და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ექსტრაქციული გამხსნელების შესახებ“.

მუხლი 2. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებისთვის განკუთვნილი ექსტრაქციულ გამხსნელები, რომლებიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებულ იქნეს „გამოყენებამდე ვადის“ ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

ტექნიკური რეგლამენტი - სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ექსტრაქციული გამხსნელების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ტექნიკური რეგლამენტი - „სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ექსტრაქციული გამხსნელების შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს მოთხოვნებს სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ექსტრაქციული გამხსნელების მიმართ.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1.ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ექსტრაქციულ გამხსნელებთან დაკავშირებით ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ექსტრაქციული გამხსნელების მიმართ, რომლებიც გამოიყენება საკვებდანამატების, ვიტამინებისა და სხვა საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) წარმოებაში, გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით - „ექსტრაქციული გამხსნელები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სურსათის და სურსათის ინგრედიენტების გადამუშავებისას“ განსაზღვრული საკვებდანამატების, ვიტამინებისა და სხვა საკვები ნივთიერებებისა (ნუტრიენტების).

3. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ საკვებდანამატების, ვიტამინებისა და სხვა საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) გამოყენებამ არ გამოიწვიოს სურსათში ექსტრაქციული გამხსნელების იმ რაოდენობით არსებობა, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ასევე ექსტრაქციული გამხსნელების მიმართ, რომელიც გამოყენებულია ან განკუთვნილია გამოსაყენებლად საქართველოში იმპორტირებულ სურსათსა და სასურსათო ინგრედიენტებში.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გამხსნელი - ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სურსათის ან მისი ნებისმიერი კომპონენტის გასახსნელად, მათ შორის ნებისმიერი დამაბინძურებლის გასახსნელად, რომელიც არსებობს ამ სურსათში ან ამ სურსათზე;

ბ) ექსტრაქციული გამხსნელი - გამხსნელი, რომელიც გამოიყენება ექსტრაქციის პროცესში ნედლეულის, სურსათის ან მათი კომპონენტების ან ინგრედიენტების გადამუშავებისას და რომელიც ექვემდებარება მოცილებას, თუმცა შესაძლოა სურსათში ან სურსათის ინგრედიენტში არამიზანმიმართულად არსებობდეს ტექნიკურად გარდაუვალი ნარჩენების ან წარმოებულების სახით.

მუხლი 4. ექსტრაქციული გამხსნელების გამოყენების პირობები

1. სურსათის ან სურსათის ინგრედიენტების წარმოებაში დაშვებულია ექსტრაქციულ გამხსნელებად ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული ნივთიერებებისა და მასალების გამოყენება იმ პირობით, თუ დაცული იქნება ამ დანართით განსაზღვრული გამოყენების პირობები და საჭიროების მიხედვით, მათი ნარჩენების მაქსიმალურად ზღვარი.
2. არ უნდა იქნეს აკრძალული, შეზღუდული ან შეფერხებული სურსათის ან სურსათის ინგრედიენტების ბაზარზე განთავსება ექსტრაქციულ ნივთიერებებთან ან მათ ნარჩენებთან დაკავშირებით, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. დაუშვებელია ექსტრაქციულ გამხსნელებად სხვა ნივთიერებების და მასალების გამოყენება, ასევე მათი გამოყენების პირობების გაფართოება ან ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული ექსტრაქციული გამხსნელების ნარჩენების მაქსიმალური ზღვარის გაზრდა.
4. წყალი, რომელშიც შეიძლება დამატებული იყოს მჟავიანობის ან ტუტიანობის მარეგულირებელი ნივთიერებები, აგრეთვე სხვა საკვები ნივთიერებები, რომელთაც გააჩნიათ გამხსნელი თვისებები, დაშვებულია გამოყენებულ იქნეს როგორც ექსტრაქციული გამხსნელი სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოებაში.

მუხლი 5. სისუფთავის კრიტერიუმები

ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული ნივთიერებები და მასალები, რომლებიც წარმოადგენენ ექსტრაქციული გამხსნელებს უნდა აკმაყოფილებდნენ სისუფთავის ზოგად და სპეციფიკურ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ისინი არ უნდა შეიცავდნენ ნებისმიერი ელემენტის ან ნივთიერების ტოქსიკოლოგიურად საშიშ რაოდენობას;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სპეციფიკური სისუფთავის კრიტერიუმებიდან გამონაკლისის გათვალისწინებით, ისინი არ უნდა შეიცავდნენ 1 მგ/კგ-ზე მეტ დარიშხანს ან 1 მგ/კგ-ზე მეტ ტყვიას;

გ) ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სისუფთავის სპეციფიკურ კრიტერიუმებს.

მუხლი 6. ცვლილებები და დროებითი შეჩერება

1. ამ ტექნიკურ რეგლამენტში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია:

ა) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად, განხორციელდეს აუცილებელი ცვლილებები ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1- ით განსაზღვრულ გამხსნელების გამოყენების სფეროში, რომელიც დაადგენს ამ ნივთიერებებისა გამოყენების პირობებს და მათი ნარჩენების მაქსიმალურ ზღვარს;

ბ) განისაზღვროს ანალიზის მეთოდები, რომლებიც აუცილებელია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით განსაზღვრული ექსტრაქციული გამხსნელების ზოგადი და სპეციფიკური სისუფთავის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასადასტურებლად;

გ) დადგენილი იქნეს სურსათში და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ამ ტექნიკური რეგლამენტის N1-ით განსაზღვრული ექსტრაქციული გამხსნელებისათვის ნიმუშის აღების წესი და თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის N1-ით განსაზღვრული ექსტრაქციული გამხსნელებისათვის სპეციფიკური სისუფთავის კრიტერიუმები, და, განსაკუთრებით, მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი ვერცხლისწყლისა და კადმიუმისათვის.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებებისა, ახალი ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც დადგენილი იქნება, რომ სურსათში ან სურსათის ინგრედიენტებში ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1- ით განსაზღვრული ნებისმიერი ნივთიერების გამოყენება ან ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით განსაზღვრული ნივთიერებებში შემავალი ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დონე შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას, მიუხედავად ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისა, შესაძლებელია მიღებული იქნეს გადაწყვეტილება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოქმედების დროებითი შეჩერების ან მასში სათანადო ცვლილებების განხორციელების შესახებ.

მუხლი 7. ექსტრაქციული გამხსნელების ეტიკეტირება

1. დაუშვებელია ბაზარზე განთავსებული იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებისთვის განკუთვნილი ექსტრაქციულ გამხსნელები, თუ მათ შეფუთვაზე, ტარაზე ან ეტიკეტზე გამოსაჩენ (შესამჩნევ) ადგილზე, გარკვევით, მკაფიოდ და ისე, რომ შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა, არ იკითხებოდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სავაჭრო დასახელება;

ბ)მკაფიო და ზუსტი მითითება, რომ მასალა არის სურსათის ან სურსათის ინგრედიენტების ექსტრაქციისთვის შესაფერისი ხარისხის;

გ) მითითება, რომლითაც შესაძლებელია პარტიის ან ლოტის იდენტიფიცირება;

დ) ბიზნესოპერატორის (მწარმოებლის ან შემფუთავის, დისტრიბუტორის ან რეალიზატორის) დასახელება და მისამართი;

ე)ნეტო - წონა, გამოსახული მოცულობით ერთეულებში;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შენახვისა და გამოყენების განსაკუთრებული პირობები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ-ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები შესაძლებელია მოცემული იყოს მხოლოდ პარტიის (ან ლოტის) თანმხლებ დოკუმენტაციაში, რომელიც მიწოდებული უნდა იქნეს ექსტრაქციული გამხსნელების მიწოდებისას ან მიწოდებამდე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

4. დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარდგენილი იქნეს, ასევე ევროკავშირის ოფიციალური ენებიდან ერთ-ერთ ენაზე.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ გამორიცხავს მონაცემების წარდგენას რამდენიმე ენაზე.

დანართი N1

ექსტრაქციული გამხსნელები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სურსათის და სურსათის ინგრედიენტების გადამუშავებისას

ნაწილი I

ექსტრაქციული გამხსნელები, რომლებიც, ყველა შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს კარგი წარმოების პრაქტიკის (GMP) შესაბამისად ([1])

დასახელება:

ა) პროპანი

ბ) ბუთანი

გ) ეთილაცეტატი

დ) ეთანოლი

ე) ნახშირორჟანგი

ვ) აცეტონი [(2)]

ზ) აზოტის ჟანგი.

შენიშვნა:

([1]) - ექსტრაქციული გამხსნელი მიიჩნევა კარგი წარმოების პრაქტიკის (GMP) შესაბამისად გამოყენებულად, თუ მისი გამოყენების შედეგად ხდება ტექნიკურად გარდუვალი ნარჩენების ან წარმოებულების სახით იმ რაოდენობით არსებობა, რომელიც საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

(2) - აკრძალულია აცეტონის გამოყენება ზეთისხილის პომასიდან (კოპტონი/ნაწნეხი) მიღებული ზეთის რაფინირებისათვის.

ნაწილი II

ექსტრაქციული გამხსნელები და მათი გამოყენების პირობები

დასახელება	**გამოყენების პირობები (ექსტრაქციის მოკლე აღწერა)**	**ექსტრაგირებულ სურსათში ან სურსათის ინგრედიენტში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი**
ჰექსანი (1)	ცხიმებისა და ზეთების წარმოება ან ფრაქციებად დაყოფა და კაკაოს ცხიმის წარმოება	1 მგ/კგ ცხიმში ან ზეთში ან კაკაოს ცხიმში
	გაუცხიმოებული ცილოვანი პროდუქტების და გაუცხიმოებული ფქვილის მომზადება	10 მგ/კგ სურსათში, რომელიც შეიცავს გაუცხიმოებულ ცილოვან პროდუქტებს და გაუცხიმოებულ ფქვილს
		30 მგ/კგ სოიოს გაუცხიმოებულ პროდუქტებში, რომელიც მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს
	მარცვლოვნების გაუცხიმოებული ჩანასახების/ღივების მომზადება	5 მგ/კგ მარცვლოვნების გაუცხიმოებულ ჩანასახებში/ღივებში
2-მეთილოქსოლანი	ცხიმებისა და ზეთების წარმოება ან ფრაქციებად დაყოფა და კაკაოს ცხიმის წარმოება	1 მგ/კგ ცხიმში ან ზეთში ან კაკაოს ცხიმში
	გაუცხიმოებული ცილოვანი პროდუქტების და გაუცხიმოებული ფქვილის მომზადება	10 მგ/კგ სურსათში, რომელიც შეიცავს გაუცხიმოებულ ცილოვან პროდუქტებს და გაუცხიმოებულ ფქვილს
		30 მგ/კგ სოიოს გაუცხიმოებულ პროდუქტებში, რომელიც

		მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს
	მარცვლოვნების გაუცხიმოებული ჩანასახების/ღივების მომზადება	5 მგ/კგ მარცვლოვნების გაუცხიმოებულ ჩანასახებში/ღივებში
მეთილაცეტატი	დეკოფეინიზაცია, ან გამაღიზიანებელი ნივთიერებების და სიმწარის მოცილება ყავიდან და ჩაიდან	20 მგ/კგ ყავაში ან ჩაიში
	შაქრის წარმოება მელასიდან	1 მგ/კგ შაქარში
ეთილმეთილკეტონი (2)	ცხიმებისა და ზეთების ფრაქციებად დაყოფა	5 მგ/კგ ცხიმში ან ზეთში
	ყავიდან და ჩაიდან გამაღიზიანებელი ნივთიერებების და სიმწარის მოცილება ან დეკოფეინიზაცია	20 მგ/კგ ყავაში ან ჩაიში
დიქლორმეთანი	ყავიდან და ჩაიდან გამაღიზიანებელი ნივთიერებების და სიმწარის მოცილება ან დეკოფეინიზაცია	2 მგ/კგ მოხალულ ყავაში და 5 მგ/კგ ჩაიში
მეთანოლი	ყველა გამოყენებისთვის	10 მგ/კგ
პროპან-2-ოლი	ყველა გამოყენებისთვის	10 მგ/კგ
დიმეთილის ეთერი	გაუცხიმოებული ცხოველური წარმოშობის ცილოვანი პროდუქტების, მათ შორის ჟელატინის (3) მომზადება	0,009 მგ/კგ გაუცხიმოებულ ცხოველური წარმოშობის ცილოვან პროდუქტებში, მათ შორის ჟელატინში
	კოლაგენის (4) და კოლაგენის წარმოებულების მომზადება, გარდა ჟელატინისა	3 მგ/კგ კოლაგენსა და კოლაგენის წარმოებულებში, გარდა ჟელატინისა
მინიშნებები: (1) - ჰექსანი წარმოადგენს კომერციულ პროდუქტს, რომელიც ძირითადად შედგება ექვსი ნახშირბადის ატომის შემცველი აციკლური ნაჯერი		

ნახშირწყალბადებისგან და დისტილაციას განიცდის 64°C-დან 70°C-მდე ტემპერატურაზე. ჰექსანისა და ეთილმეთილკეტონის ერთად გამოყენება დაუშვებელია. (2) - ამ გამხსნელში n-ჰექსანის დონე არ უნდა აღემატებოდეს 50 მგ/კგ-ს. ჰექსანისა და ეთილმეთილკეტონის ერთად გამოყენება დაუშვებელია. (3) - ჟელატინი წარმოადგენს ბუნებრივ, ხსნად ცილას, გელის(ლაბის) წარმომქმნელი ან არაწარმომქმნელი, რომელიც მიღებულია ცხოველის ძვლების, კანის, ტყავის, ხრტილის და მყესების კოლაგენის ნაწილობრივი ჰიდროლიზის შედეგად, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის N90 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; (4) - კოლაგენი წარმოადგენს ცილაზე დაფუძნებულ პროდუქტს, რომელიც მიღებულია ცხოველის ძვლების, კანის, ტყავისა და ხრტილისაგან და წარმოებულია „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის N90 დადგენილებით დამტკიცებული **„ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესით** “ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ნაწილი III

ექსტრაქციული გამხსნელები და მათი გამოყენების პირობები

დასახელება	**სურსათში ნარჩენი ნივთიერებების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი, რაც გამოწვეულია ბუნებრივი (ნატურალური) არომატიზატორებიდან არომატიზატორების მომზადების დროს ექსტრაქციული გამხსნელების გამოყენებით**
დიეთილის ეთერი	2 მგ/კგ
ჰექსანი (1)	1 მგ/კგ
2 -მეთილოქსოლანი	1 მგ/კგ
ციკლოჰექსანი	1 მგ/კგ
მეთილაცეტატი	1 მგ/კგ
ბუთან -1 - ოლი	1 მგ/კგ
ბუთან -2 - ოლი	1 მგ/კგ

ეთილმეთილკეტონი (1)	1 მგ/კგ
დიქლორომეთანი	0,02 მგ/კგ
პროპან - 1- ოლი	1 მგ/კგ
1,1,1, 2 - ტეტრაფტორეთანი	0,02 მგ/კგ
მეთანოლი	1,5 მგ/კგ
პროპან - 2- ოლი	1 მგ/კგ
მინიშნება: (1) - ჰექსანისა და ეთილმეთილკეტონის ერთად გამოყენება დაუშვებელია	

ნაწილი IV

დანართი N1- ით განსაზღვრული ექსტრაქციული გამხსნელების სპეციფიკური სისუფთავის კრიტერიუმები

2 - მეთილოქსოლანი	
GAS (1) ნომერი	96-47-9
ანალიზი	შემცველობა არანაკლებ 99,9 %, (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)
სისუფთავე	
ფურანი	არაუმეტეს 50 მგ/კგ (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)
2 - მეთილფურანი ეთანოლი	არაუმეტეს 500 მგ/კგ (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)
ეთანოლი	არაუმეტეს 450 მგ/კგ (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)
(1) Chemical Abstracts Service Number - უნიკალური იდენტიფიკაციის ნომერი, რომელიც ენიჭება თითოეულ ქიმიურ ნივთიერებას	

განმარტებითი ბარათი

„ტექნიკური რეგლამენტი - სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებული ექსტრაქციული გამხსნელების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, DIRECTIVE 2009/32/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2009 on the approximation of the laws of the Member States on extraction solvents used in the production of foodstuffs and food ingredients- ის, L 25, 67, 27.1.2023 კონსოლიდირებული ვერსიის მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის მიზანია სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოების პროცესში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ექსტრაქციული გამხსნელების მიმართ ერთიანი მოთხოვნების განსაზღვრა, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა იმ რისკებისგან, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოებისას ექსტრაქციული გამხსნელების გამოყენებასთან.

რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება როგორც საქართველოში წარმოებულ, ისე საქართველოში იმპორტირებულ სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებულ ან გამოყენებისთვის განკუთვნილ ექსტრაქციულ გამხსნელებზე.

პროექტი ასევე ითვალისწინებს, რომ საკვებდანამატების, ვიტამინებისა და სხვა ნუტრიენტების წარმოებაში გამოყენებულმა ექსტრაქციულმა გამხსნელებმა არ უნდა გამოიწვიოს სურსათში ისეთი ნარჩენების არსებობა, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

პროექტის თანახმად, განსაზღვრულია ექსტრაქციული გამხსნელების გამოყენების ძირითადი მოთხოვნები, სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოებისას ექსტრაქციულ გამხსნელებად დასაშვებია მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული ნივთიერებების გამოყენება და მხოლოდ შესაბამისი გამოყენების პირობების დაცვით. დანართი N1 განსაზღვრავს იმ ექსტრაქციულ გამხსნელებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია კარგი წარმოების პრაქტიკის (GMP) შესაბამისად; კონკრეტულ ექსტრაქციულ გამხსნელებსა და მათი გამოყენების სფეროებს; სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში აღნიშნული გამხსნელების ნარჩენების მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს; ბუნებრივი არომატიზატორების წარმოებისას გამოყენებული გამხსნელების ნარჩენების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს; ცალკეული ექსტრაქციული გამხსნელების სპეციფიკურ სისუფთავის კრიტერიუმებს.

GMP-ის შესაბამისად გამოყენებულად ექსტრაქციული გამხსნელი მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების შედეგად სურსათში რჩება მხოლოდ ტექნიკურად გარდაუვალი ნარჩენები ან წარმოებულები ისეთი რაოდენობით, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

პროექტი ასევე კრძალავს დანართი N1-ით გაუთვალისწინებელი სხვა ნივთიერებებისა და მასალების ექსტრაქციულ გამხსნელებად გამოყენებას, აგრეთვე დადგენილი გამოყენების პირობების თვითნებურ გაფართოებას ან ნარჩენების მაქსიმალური დასაშვები ზღვრის გაზრდას.

ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ადგენს ექსტრაქციული გამხსნელების სისუფთავის ზოგად და სპეციფიკურ კრიტერიუმებს. პროექტი ასევე ითვალისწინებს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, დადგინდეს დამატებითი სპეციფიკური სისუფთავის კრიტერიუმები, მათ შორის ვერცხლისწყლისა და კადმიუმის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი.

ცალკე რეგულირდება ბუნებრივი არომატიზატორებიდან არომატიზატორების მომზადებისას გამოყენებული ექსტრაქციული გამხსნელების ნარჩენები.

ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ადგენს ექსტრაქციული გამხსნელების ეტიკეტირების კონკრეტულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით, გარკვეული ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს პარტიის ან ლოტის თანმხლებ დოკუმენტაციაში, რომელიც ექსტრაქციული გამხსნელის მიწოდებისას ან მიწოდებამდე უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

პროექტი ითვალისწინებს ასევე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შემდგომი ცვლილების შესაძლებლობას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ახალი სამეცნიერო ინფორმაციის გათვალისწინებით. კერძოდ, შესაძლებელია

შეიცვალოს ექსტრაქციული გამხსნელების გამოყენების სფეროები, გამოყენების პირობები და ნარჩენების მაქსიმალური დასაშვები ზღვრები, განისაზღვროს შესაბამისობის დასადასტურებლად აუცილებელი ანალიზის მეთოდები და ნიმუშის აღების წესები.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას გამოყენებულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტი - DIRECTIVE 2009/32/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2009 on the approximation of the laws of the Member States on extraction solvents used in the production of foodstuffs and food ingredients- ის, L 25, 67, 27.1.2023 კონსოლიდირებული ვერსიის

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას იმ რისკებისგან, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოებისას ექსტრაქციული გამხსნელების გამოყენებასთან.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2027 წლის პირველი ივნისიდან. ამასთან, ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებში გამოყენებისთვის განკუთვნილი ექსტრაქციულ გამხსნელები, რომლებიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებულ იქნეს „გამოყენებამდე ვადის“ ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.